ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ №04-39/1

ქ. თბილისი

20 აპრილი, 2015წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში _ "შემსყიდველი") _ ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის, ქეთევან ნატრიაშვილის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, ***სს „გუდვილი"*** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ნუგზარ გაბრიჭიძის** სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, "განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101) დაფინანსების ფარგლებში დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მინისტრის და მინისტრის მოადგილეების მიერ, დაგეგმილი შეხვედრებისათვის სამინისტრო აფორმებს ხელშეკრულებას **სხვადასხვა სახის საქონლის (CPV 15800000; 33700000)** შესყიდვის მიზნით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **487.05 (ოთხასოთხმოცდაშვიდი ლარი და ხუთი თეთრი) ლარს.**

4.2 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასები მოცემულია ფასების ცხრილში:

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი	CPV
1	Lavazza-ყავა დაფქვილი espresso 0.250	3	19.90	59.70	15800000
2	NESCAFE-ყავა გოლდი 6*190გრ	11	13.90	152.90	15800000
3	„ჟოკეი"-ყავა აღმოსავლური, მარცვალი 500გრ	9	12.80	115.20	15800000
4	შაქარი 1კგ	13	1.65	21.45	15800000
5	SELPAK-ხელსახოცი 24*50ც 2ფენა	15	2.35	35.25	33700000

6	Greenfield-შავი ჩაი „სანრაიზ“2გრX25ც	1	4.60	4.60	15800000
7	Dallmayr-ყავის მარცვალი „ეთოპია“ არაბიკა 500გრ	1	23.90	23.90	15800000
8	TCHIBO- ყავა "ჩიბო "გოლდი 200გრ	1	17.95	17.95	15800000
9	AMIGOS-ყავა "ქუალიტა როსსა დაუფქვავი (წითელი)500გრ	1	22.60	22.60	15800000
10	RISTON-ჩაი მწვანე ჟასმინით-06x20x100	1	8.50	8.50	15800000
11	Lipton-შავი ჩაი 200გრ	2	12.50	25.0	15800000
				487.05	

4.3 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება “მიმწოდებელს“.

5. საქონლის მიწოდების ვადები

მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. “მიმწოდებელთან” ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, მოწოდებული საქონლის შესაბამისად.

7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.

7.3 “მიმწოდებელთან” ანგარიშსწორება ხორციელდება 7.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლებები

8.1. “მიმწოდებელს” უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

8.2 „შემსყიდველს” უფლება აქვს:

8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

8.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. “მიმწოდებელი” ვალდებულია:

9.1.1 დადგენილ ვადაში გადასცეს “შემსყიდველს” ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

9.1.2. დროულად განიხილოს “შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

9.2.1. უზრუნველყოს "მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
9.2.2. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
14.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

16.1.1. საქონლის მოწოდებით.

16.1.2. მხარეთა შეთანხმებით.

16.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება ჩაბარებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 8 ივნისის ჩათვლით, მხარეთა ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი ეგზემპლარი – ,,შემსყიდველთან''.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 კოდი: TRESGE22 ა/ა NGE24NB0330100200165022 ს/კ N202051224	**სს „გუდვილი"** მის.: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. N1 საიდენტიფიკაციო კოდი: 206343991 ს/ს"თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ანგ. N GE61TB3615336020100004
მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი	გენერალური დირექტორი ნუგზარ გაბრიჭიძე
---	---